საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად საქართველოს პარლამენტისათვის წარსადგენი სამოსამართლო გამოცდილების მქონე მოსამართლეობის კანდიდატის შეფასების ფორმა

თამარ ოქროპირიძის

მოსამართლეობის კანდიდატის ------------------------ შეფასების შედეგი:

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მიხედვით	
მოსამართლეობის კანდიდატი არ აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐
მოსამართლეობის კანდიდატი აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐
მოსამართლეობის კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☒

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით		
კრიტერიუმი	მიღებული ქულა	მაქსიმალური ქულა
სამართლის ნორმების ცოდნა	19	20
სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია	18	20
წერის უნარი	19	20
ზეპირი კომუნიკაციის უნარი	15	15
პროფესიული თვისებები, მათ შორის, ქცევა სასამართლო დარბაზში	14	15
აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა	4	5
პროფესიული აქტივობები	4	5
ქულათა ჯამი	93	100

სახელი, გვარი: ზაზა ხარებავა

თარიღი: 27.05.2021წ

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი

ზაზა ხარებავა

თამარ ოქროპირიძის შეფასების დასაბუთება

საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის შესარჩევ კონკურსში მონაწილე კანდიდატის თამარ ოქროპირიძის შეფასების დასაბუთების შედგენის პროცესში ვიხელმძღვანელე „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 34^1 მუხლის მე-11 პუნქტით დადგენილი წესით, რომლის მიხედვით: „საბჭოს წევრები, ამ კანონის 36^3 მუხლის გათვალისწინებით, სამოსამართლო გამოცდილების არმქონე კანდიდატს აფასებენ ქულებით ამ კანონის 35^1 მუხლის მე-16 პუნქტის შესაბამისად, ხოლო სამოსამართლო გამოცდილების მქონე კანდიდატს – ქულებით ამ კანონის 36^4 მუხლის მე-8 პუნქტის შესაბამისად. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრები კანდიდატებს აფასებენ აგრეთვე ამ კანონის 35^1 მუხლის მე-15 პუნქტის შესაბამისად. ამასთანავე, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ყოველი წევრი კანდიდატის შეფასებისას წერილობით ასაბუთებს ამ კანონის 35^1 მუხლის მე-16 პუნქტით, 36^4 მუხლის მე-8 პუნქტით გათვალისწინებულ თითოეულ ქულას და ამ კანონის 36^3 მუხლით გათვალისწინებულ კეთილსინდისიერების კრიტერიუმის თითოეულ მახასიათებელს. აღნიშნულ შეფასებებსა და დასაბუთებებში მიეთითება საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს შესაბამისი წევრის სახელი, გვარი და ხელმოწერა"

„საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 36^3 მუხლის შესაბამისად კეთილსინდისიერებისა და კომპეტენტურობის მიხედვით:

1. კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მახასიათებლებია:
ა) პიროვნული კეთილსინდისიერება და პროფესიული სინდისი;
ბ) დამოუკიდებლობა, მიუკერძოებლობა და სამართლიანობა;
გ) პიროვნული და პროფესიული ქცევა;
დ) პიროვნული და პროფესიული რეპუტაცია;
ე) ფინანსური ვალდებულება.

2. კომპეტენტურობის კრიტერიუმის მახასიათებლებია:
ა) სამართლის ნორმების ცოდნა;
ბ) სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია;
გ) წერის უნარი;
დ) ზეპირი კომუნიკაციის უნარი;

ე) პროფესიული თვისებები, მათ შორის, ქცევა სასამართლო დარბაზში;
ვ) აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა;
ზ) პროფესიული აქტივობა.

ხოლო „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 35[1] მუხლის შესაბამისად კეთილსინდისიერებისა და კომპეტენტურობის მიხედვით:

3. კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მახასიათებლებია:
ა) პიროვნული კეთილსინდისიერება და პროფესიული სინდისი;
ბ) დამოუკიდებლობა, მიუკერძოებლობა და სამართლიანობა;
გ) პიროვნული და პროფესიული ქცევა;
დ) პიროვნული და პროფესიული რეპუტაცია.

4. კომპეტენტურობის კრიტერიუმის მახასიათებლებია:
ა) სამართლის ნორმების ცოდნა;
ბ) სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია;
გ) წერისა და ზეპირი კომუნიკაციის უნარი;
დ) პროფესიული თვისებები;
ე) აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა;
ვ) პროფესიული აქტივობა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის საფუძველზე, განვახორციელე საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის შესარჩევ კონკურსში მონაწილე კანდიდატის თაობაზე დადგენილი წესით მოძიებული ინფორმაციის შესწავლა, ორგანული კანონით განსაზღვრული თითოეული კრიტერიუმის მახასიათებლების მიხედვით შეფასება და შესაბამისი დასაბუთება.

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მიხედვით		დასაბუთება
მოსამართლეობის კანდიდატი არ აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐	უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად საქართველოს პარლამენტისთვის წარსადგენ კანდიდატ თამარ ოქროპირიძის კეთილსინდისიერების კრიტერიუმით შეფასებისას დავეყრდენი ,,საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის საფუძველზე მასზე მოძიებულ და აგრეთვე კანდიდატთან გამართულ საჯარო გასაუბრებით მიღებულ ინფორმაციას. **1. პიროვნული კეთილსინდისიერება და პროფესიული სინდისი:** კანდიდატის ფინანსური ვალდებულებებისა და ქონებრივი მდგომარეობის ამსახველი დეკლარაციის გაცნობისას ვლინდება, რომ იგი გამჭვირვალედ, კორექტულად და ჯეროვანი სიზუსტით ასრულებს თავის ფინანსურ თუ სამოქალაქო ვალდებულებებს, კერძოდ: თამარ ოქროპირიძეს სახელმწიფო ბიუჯეტის მიმართ დავალიანება არ ერიცხება. აქვს მიმდინარე სესხი და აქვს დადებითი საკრედიტო ისტორია. მოძიებული მასალით ფიქსირდება მცირე რაოდენობის საგზაო მოძრაობის წესების დარღვევის ფაქტები, თუმცა კანდიდატს სრულად და დროულად აქვს გადახდილი დადგენილი ჯარიმები. კანდიდატის დახასიათების მიზნით წარმოდგენილ რეკომენდაციებსა და კითხვარებში, კანდიდატთან საქმიან ურთიერთობაში მყოფი პირები მას თავმდაბალ, პატიოსან, მოკრძალებულ, კორექტულ, თავაზიან, მშვიდ, მეგობრულ, შრომისმოყვარე, საქმის ერთგულ პიროვნებად ახასიათებენ. კანდიდატზე მოძიებული მასალების გაცნობისა და მისი საჯარო მოსმენის შედეგად შემიძლია დავასკვნა, რომ იგი, პატიოსანი მოსამართლე და მოქალაქეა, არის კეთილსინდისიერი და გააჩნია მოვალეობებისა და პასუხისმგებლობის შესაბამისი შეგნება, ავლენს სიმართლის მოყვარეობას. მივიჩნევ, რომ კანდიდატი თამარ ოქროპირიძე სრულად აკმაყოფილებს ,,საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 36³ მუხლის პირველი პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტით გათვალისწინებული კრიტერიუმის მახასიათებელს და ამავე მუხლის მე-3 პუნქტით განსაზღვრულ კომპონენტებს.
მოსამართლეობის კანდიდატი აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐	
მოსამართლეობის კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☒	

		2. დამოუკიდებლობა, მიუკერძოებლობა და სამართლიანობა: რეკომენდატორები უთითებენ, რომ კანდიდატი არ ექცევა გარშემომყოფთა ზეგავლენის ქვეშ, გადაწყვეტილებას იღებს დამოუკიდებლად, სამართლიანად, მიუკერძოებლად. გასაუბრების პროცესში კანდიდატმა მის მიმართ დასმული საკითხები განიხილა დამოუკიდებელი მსჯელობით, ობიექტურად, შესაბამისი ანალიზისა და არგუმენტაციის გათვალისწინებით. რაიმე სახის მიკერძოებული დამოკიდებულება არ გამოუვლენია. მოძიებული ინფორმაციის თანახმად, იგი რომელიმე პოლიტიკური პარტიის ან პოლიტიკური ორგანიზაციის წევრი, მსარდამჭერი ან შემომწირველი არ ყოფილა. აღნიშნული მაძლევს საფუძველს ჩავთვალო, რომ კანდიდატი დამოუკიდებელია სამოსამართლო ვალდებულებების შესრულებისას, სამოსამართლო ფუნქციებს ასრულებს ჯეროვნად, არის პრინციპული, შეუვალი. იგი თავისუფალია ყოველგვარი მიკერძოებისაგან და დისკრიმინაციული მიდგომებისაგან, დამოუკიდებელია საზოგადოებრივი და პოლიტიკური გავლენებისგან, რაც აძლევს შესაძლებლობას დამოუკიდებლად მიიღოს გადაწყვეტილება და იყოს ზეგავლენის მიმართ მედეგი. მივიჩნევ, რომ კანდიდატი თამარ ოქროპირიძე სრულად აკმაყოფილებს ,,საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 36[3] მუხლის პირველი პუნქტის ,,ბ" ქვეპუნქტით გათვალისწინებული კრიტერიუმის მახასიათებელს და ამავე მუხლის მე-4 პუნქტით განსაზღვრულ კომპონენტებს. **3. პიროვნული და პროფესიული ქცევა:** რეკომენდატორები აღნიშნავენ, რომ კანდიდატი გამოირჩევა თავაზიანობით, თანამშრომლების მიმართ კეთილგანწყობით, მაღალი ეთიკური ქცევით, დროის რესურსის სწორად გადანაწილებით, საქმის ერთგულებით. გასაუბრების პროცესში კანდიდატი თავდაჭერილი, ზრდილობიანი, კორექტულია. ვლინდება, რომ იგი იცავს სამოსამართლო ეთიკას, არის კორექტული კოლეგებთან თუ სხვა პირებთან ურთიერთობისას, აქვს საკუთარი ემოციების მართვის კარგი უნარი. კანდიდატის თაობაზე მოძიებული მასალებით დგინდება, რომ თამარ ოქროპირიძის მიმართ დისციპლინური ან სისხლის სამართლებრივი დევნა არ დაწყებულა. კანდიდატი სასამართლოში მხარედ/დაზარალებულად

		წარმოდგენილი არ ყოფილა. საანგარიშო პერიოდში რამდენჯერმე უფიქსირდება ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ფაქტი, საგზაო მოძრაობის წესების დარღვევისთვის, რომლებზეც დროულად და სრულად აქვს დაფარული დადგენილი სანქციები. მივიჩნევ, რომ კანდიდატი თამარ ოქროპირიძე სრულად აკმაყოფილებს „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 36³ მუხლის პირველი პუნქტის „გ" ქვეპუნქტით გათვალისწინებული კრიტერიუმის მახასიათებელს და ამავე მუხლის მე-5 პუნქტით განსაზღვრულ კომპონენტებს. **4. პიროვნული და პროფესიული რეპუტაცია:** კანდიდატის შესახებ რეკომენდაციებისა და კითხვარების ფორმების, მასზე მოძიებული ინფორმაციის გაცნობის შემდეგ შემიძლია დავასკვნა, რომ კანდიდატი სარგებლობს შრომისმოყვარე, სამართლიანი, მაღალი პროფესიული კომპეტენციის მქონე პიროვნებისა და მოსამართლის სახელით. რეკომენდატორები უთითებენ, რომ კანდიდატი პატივისცემით ეპყრობა კოლეგებსა და აპარატის თანამშრომლებს, ასევე მაღალი ავტორიტეტით სარგებლობს როგორც საქმიან ისე საზოგადოებრივ ცხოვრებაში. რეკომენდატორები და გამოკითხული პირები კანდიდატის სისუსტეებსა და ნაკლოვანებებს არ აღნიშნავენ. ინტერნეტ სივრცეში ხელმისაწვდომია თამარ ოქროპირიძის მეერ განხილული საქმეების შესახებ. მათ შორის იყო საარჩევნო დავების, პანორამა თბილისის და საპროტესტო აქციის დროს დაკავებულთა საქმეები. მედიამ გააშუქა თამარ ოქროპირიძის ჩარიცხვა იუსტიციის უმაღლეს სკოლაში, ასევე უვადოდ განწესება. ხელმისაწვდომია ინფორმაცია უზენაესი სასამართლოს მოსამართლის შესარჩევ კონკურსში მისი მონაწილეობის შესახებ. თუმცა აღსანიშნავია, რომ კანდიდატის, როგორც დადებითი პიროვნული და პროფესიული რეპუტაციის მქონე პიროვნების მიმართ ჩამოყალიბებული აზრის საწინააღმდეგო რაიმე ობიექტურად დადგენილი ფაქტი ან სხვა გარემოება არ გამოვლენილა. ამდენად მივიჩნევ, რომ კანდიდატი თამარ ოქროპირიძე სრულად აკმაყოფილებს „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 36³ მუხლის პირველი პუნქტის „დ" ქვეპუნქტით გათვალისწინებული კრიტერიუმის მახასიათებელს და ამავე მუხლის მე-6 პუნქტით განსაზღვრულ კომპონენტებს.

			5. ფინანსური ვალდებულება: კანდიდატზე მოძიებული ინფორმაციის გაცნობიდან ირკვევა, რომ თანამდებობის პირთა ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციაში ასახულია მონაცემები კანდიდატის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების შესახებ, ასევე საბანკო დაწესებულებაში არსებული ანგარიშისა და შენატანების თაობაზე. კანდიდატის სახელზე უძრავი ქონება რეგისტრირებული არ არის. კანდიდატს აქვს მიმდინარე სესხი და დადებითი საკრედიტო ისტორია, სახელმწიფო ბიუჯეტის მიმართ დავალიანება არ ერიცხება. მოპოვებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით მიმაჩნია, რომ კანდიდატის ქონებრივი ინტერესების მართლმსაჯულების ინტერესებთან დაპირისპირების რაიმე საფუძველი, რამაც შესაძლოა საფრთხე შეუქმნას მოსამართლის მიუკერძოებლობას, არ გამოვლენილა. მივიჩნევ, რომ კანდიდატი თამარ ოქროპირიძე სრულად აკმაყოფილებს ,,საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 36³ მუხლის პირველი პუნქტის ,,ე" ქვეპუნქტით გათვალისწინებული კრიტერიუმის მახასიათებელს და ამავე მუხლის მე-7 პუნქტით განსაზღვრულ კომპონენტებს. ამდენად, კანდიდატთან გასაუბრების პროცესში და არც მასზე მოძიებული მასალებში არ გამოვლენილა რაიმე ისეთი გარემოება, რაც ეჭვქვეშ დააყენებდა მის პიროვნულ კეთილსინდისიერებასა და პროფესიულ სინდისს. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მახასიათებლების ანალიზისა და შეჯერების შედეგად მიმაჩნია, რომ კანდიდატი თამარ ოქროპირიძე სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს.
მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით			დასაბუთება
კრიტერიუმი	მიღებული ქულა	მაქსიმალური ქულა	
სამართლის ნორმების ცოდნა	19	20	კანდიდატის სამართლებრივი ნორმების ცოდნის შეფასებისას ვიხელმძღვანელე უშუალოდ კანდიდატთან გასაუბრების პროცესზე დაკვირვებით, მის მიერ წარმოდგენილი გადაწყვეტილების გაცნობით და იუსტიციის უმაღლესი სკოლის

			დამოუკიდებელი საბჭოს შეფასებით. კანდიდატმა წარმოადგინა მის მიერ განხილულ სამოქალაქო საქმეზე მიღებული სასამართლოს გადაწყვეტილება, კერძოდ: - თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2016 წლის 26 თებერვლის გადაწყვეტილება, საქმე N3/7949-15, (ადმინისტრაციულ - ~~სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობა~~). თამარ ოქროპირიძეს ჩაბარებული აქვს მოსამართლეობის საკვალიფიკაციო გამოცდა სამოქალაქო და ადმინისტრაციული სპეციალიზაციით. კანდიდატი ამჟამად არის თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მოქმედი მოსამართლე. მას წარმატებით აქვს გავლილი იუსტიციის უმაღლესი სკოლის სრული სასწავლო კურსი. იუსტიციის უმაღლესი სკოლის დამოუკიდებელი საბჭოს შეფასებით კი ირკვევა, რომ თამარ ოქროპირიძეს სრულყოფილი თეორიული ცოდნა აქვს ადმინიტრაციულ და სამოქალაქო სამართალში, სისხლის სამართალში მომავალში საჭიროებს ცოდნის გაღრმავებას. გასაუბრებიდან ჩანს, რომ კანდიდატი რეგულარულად ეცნობა საკანონმდებლო ცვლილებებს, ეროვნულ და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტულ სამართალს და სწორად იყენებს მათ თავის საქმიანობაში. კანდიდატის მიერ განხილულ საქმეებზე წარმოდგენილი გადაწყვეტილების გაცნობის შემდეგ შემიძლია დავასკვნა, რომ სამართლის ნორმები სწორად არის გამოყენებული და განმარტებული. კანდიდატის საჯარო მოსმენის შეფასების შედეგად შემიძლია დავასკვნა, რომ თამარ ოქროპირიძემ ძირითადად გამოავლინა ეროვნული კანონმდებლობის საფუძვლიანი ცოდნის დონე. კანდიდატს კარგად ესმის სამართლის არსი და სამართლის ფუნდამენტური პრინციპების მნიშვნელობა. იგი კარგად იცნობს საქართველოს კონსტიტუციას, ადამიანის უფლებებს. გასაუბრებისას მან ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოსა და საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს არაერთი გადაწყვეტილებების შესახებ იმსჯელა. კანდიდატმა სწორი სამართლებრივი მსჯელობებით ისაუბრა ისეთ თემებზე, როგორებიცაა: ოჯახური ძალადობის და ქალთა მიმართ ძალადობის საკითხები. განმარტა, რომ გენდერული ნიშნით ქალის მიმართ ძალადობა აუცილებლად მომდინარეობს კაცის მხრიდან და იგი გამორიცხავს ქალის მიერ ქალზე ძალადობას გენდერის ნიშნით. კანდიდატმა ისაუბრა სამართლიანი სასამართლოს უფლებაზე და მოიყვანა საქართველოს წინააღმდეგ მიღებული ევროპული

			სასამართლოს გადაწყვეტილებები. ისაუბრა პირის ფსიქიატრიულ დაწესებულებაში იძულებით მკურნალობის მიზნის მოთავსების პრობლემატურ საკითხებზე და სხვა. კანდიდატმა ასევე იმსჯელა დისკრიმინაციის ფორმებზე, თუმცა გაუჭირდა განემარტა ასოციაციით დისკრიმინაციის საკითხი. ვთვლი, რომ კანდიდატს ჩამოყალიბებული აქვს სამართლებრივი პრობლემების იდენტიფიცირების, მათი გადაწყვეტისათვის ნორმატიული საფუძვლების მოძიების, განმარტებისა და გამოყენების უნარი. ამდენად მივიჩნევ, რომ კანდიდატი თამარ ოქროპირიძე აკმაყოფილებს ,,საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 36[3] მუხლის მეორე პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტით გათვალისწინებული კრიტერიუმის მახასიათებელს და ამავე მუხლის მე-8 პუნქტით განსაზღვრულ კომპონენტებს და შესაბამისად 36[4] მუხლის მე-8 პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის გათვალისწინებით, საბოლოოდ ,,სამართლის ნორმების ცოდნის" კრიტერიუმში თამარ ოქროპირიძე უნდა შეფასდეს 19 (ცხრამეტი) ქულით.
სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია	18	20	კანდიდატის სამართლებრივი დასაბუთების უნარისა და კომპეტენციის მახასიათებლის შეფასებისას ვიხელმძღვანელე კანდიდატთან გასაუბრების პროცესზე დაკვირვებით, კანდიდატის მიერ წარმოდგენილი გადაწყვეტილების ანალიზით, იუსტიციის უმაღლესი სკოლის დამოუკიდებელი საბჭოს შეფასებითა და მისი პროფესიული გამოცდილების შეფასებებით. კანდიდატის მიერ წარმოდგენილ სასამართლოს გადაწყვეტილებაში მსჯელობა დასაბუთებული, ლოგიკური და თანმიმდევრულია. გადაწყვეტილების გაცნობის შედეგად ვლინდება, რომ დაცულია სამართლიანი სასამართლოს ისეთი აუცილებელი ელემენტი, როგორიც არის დასაბუთებული გადაწყვეტილება. აგრეთვე აღსანიშნავია, რომ საჯარო მოსმენის დროს კანდიდატის მსჯელობა იყო დამაჯერებელი და არგუმენტირებული. იგი აზრს ავითარებდა გამართულად, თანმიმდევრულად და დამაჯერებლად. კანდიდატს ძირითადად გააჩნია სამართლებრივი პრობლემის სწორი ხედვისა და ანალიზის საფუძველზე, მისი გადაწყვეტისა და დასაბუთების უნარი. იუსტიციის უმაღლესი სკოლის დამოუკიდებელი საბჭოს შეფასებიდან ირკვევა, რომ კანდიდატს სწრაფად შეუძლია საქმის ფაქტობრივი გარემოებებიდან მნიშვნელოვანი საკითხების გამოყოფა, ახალი მასალის საფუძვლიანად და სწრაფად გააზრება და მისი გამოყენება.

			კანდიდატს სამოსამართლო საქმიანობა მოიცავს არც თუ ისე ხანგრძლივ პერიოდს, რაც შეადგენს 6 წლამდე ვადას: - 2015 წლის 1 აგვისტოს გამწესდა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მოსამართლის თანამდებობაზე 3 წლის ვადით. - 2018 წლის 1 აგვისტოდან გამწესდა თბილისის საქალაქო სასამართლოს ~~ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მოსამართლის~~ თანამდებობაზე უვადოდ, კანონით დადგენილი ასაკის მიღწევამდე (ღია კენჭისყრის საფუძველზე, სადაც მოიპოვა იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ყველა წევრის მხარდაჭერა). ამდენად მივიჩნევ, რომ კანდიდატი თამარ ოქროპირიძე აკმაყოფილებს „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 36³ მუხლის მეორე პუნქტის „ბ" ქვეპუნქტით გათვალისწინებული კრიტერიუმის მახასიათებელს და ამავე მუხლის მე-9 პუნქტით განსაზღვრულ კომპონენტებს და შესაბამისად 36⁴ მუხლის მე-8 პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის გათვალისწინებით, საბოლოოდ „სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენციის" კრიტერიუმში თამარ ოქროპირიძე უნდა შეფასდეს 18 (თვრამეტი) ქულით.
წერის უნარი	19	20	კანდიდატის წერის უნარის შეფასებისას ვიხელმძღვანელე მის მიერ წარმოდგენილი გადაწყვეტილების გაცნობით, ასევე რეკომენდატორებისა და გამოკითხული პირების მოსაზრებებით, იუსტიციის უმაღლესი სკოლის დამოუკიდებელი საბჭოს შეფასებით და შედეგად ვასკვნი, რომ წერისას თამარ ოქროპირიძე აზრს ნათლად და გასაგებად გადმოსცემს. გადაწყვეტილებებში საფუძვლიანად, სამართლებრივად სწორად ავითარებს მსჯელობას და ასაბუთებს მიღებულ გადაწყვეტილებას. რეკომენდატორებიც უთითებენ, რომ კანდიდატი წერისას აზრს დამაჯერებლად და ლაკონურად გადმოსცემს. მისი გადაწყვეტილებები დასაბუთებულია მაღალი ხარისხით. იუსტიციის უმაღლესი სკოლის დამოუკიდებელი საბჭოს შეფასებით კანდიდატის მიერ შედგენილი დოკუმენტები ყოველთვის იყო დასაბუთებული, გრამატიკულად და სტილისტურად გამართული. ამდენად მივიჩნევ, რომ კანდიდატი თამარ ოქროპირიძე აკმაყოფილებს „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 36³ მუხლის მეორე პუნქტის „გ" ქვეპუნქტით გათვალისწინებული კრიტერიუმის მახასიათებელს და ამავე მუხლის მე-10 პუნქტით განსაზღვრულ კომპონენტებს და შესაბამისად 36⁴

			მუხლის მე-8 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის გათვალისწინებით, საბოლოოდ „წერის უნარის“ კრიტერიუმში თამარ ოქროპირიძე უნდა შეფასდეს 19 (ცხრამეტი) ქულით.
ზეპირი კომუნიკაციის უნარი	15	15	~~ზეპირი კომუნიკაციის უნარის შეფასებისას ვიხელმძღვანელე საჯარო მოსმენის~~ დროს კანდიდატზე დაკვირვებით, რეკომენდატორებისა და გამოკითხული პირების მოსაზრებებით, იუსტიციის უმაღლესი სკოლის დამოუკიდებელი საბჭოს შეფასებით. კანდიდატმა გასაუბრებისას გამოავლინა ზეპირი კომუნიკაციის კარგი უნარი. კანდიდატი მეტყველებს მკაფიოდ, გამართულად და აზრს გადმოსცემს გასაგებად. კანდიდატს გააჩნია სხვისი აზრის მოთმინებით მოსმენის უნარი, განსხვავებული აზრის მოსმენის შესაძლებლობა და ამ აზრის მიმღებლობა. რეკომენდატორებიც უთითებენ, რომ კანდიდატს აქვს კომუნიკაციის კარგი უნარი, შეუძლია სხვისი აზრის მოსმენა და თავის პოზიციასთან შეჯერება. იუსტიციის უმაღლესი სკოლის დამოუკიდებელი საბჭოს შეფასებით კანდიდატი საუბრობს გამართულად და დამაჯერებლად, შეუძლია საქმის გარემოებების ლაკონურად და გასაგებად გადმოცემა. ამდენად მივიჩნევ, რომ კანდიდატი თამარ ოქროპირიძე აკმაყოფილებს „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 36[3] მუხლის მეორე პუნქტის „დ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული კრიტერიუმის მახასიათებელს და ამავე მუხლის მე-11 პუნქტით განსაზღვრულ კომპონენტებს და შესაბამისად 36[4] მუხლის მე-8 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის გათვალისწინებით, საბოლოოდ „ზეპირი კომუნიკაციის უნარის“ კრიტერიუმში თამარ ოქროპირიძე უნდა შეფასდეს 15 (თხუთმეტი) ქულით.
პროფესიული თვისებები, მათ შორის, ქცევა სასამართლო დარბაზში	14	15	კანდიდატის პროფესიული თვისებებისა და მათ შორის სასამართლო დარბაზში ქცევის შეფასებისას ვიხელმძღვანელე რეკომენდატორებისა და გამოკითხული პირების დახასიათებით, სასამართლოდან მიღებული და საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს სასამართლო მენეჯმენტის დეპარტამენტის მიერ დამუშავებული სტატისტიკური მონაცემებით. ამ მონაცემების, ასევე საჯარო მოსმენისას მიღებული ინფორმაციის გაცნობისა და ანალიზის შედეგად შემიძლია დავასკვნა, რომ თამარ ოქროპირიძე სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას არის პუნქტუალური, შრომისმოყვარე და გულმოდგინე. აქვს საქმის ჯეროვნად და პასუხისმგებლობით მომზადების და სასამართლო სხდომებს სათანადოდ

			წარმართვის უნარი, დისციპლინირებული პიროვნებაა. მას შესწევს გადაწყვეტილების დამოუკიდებლად მიღებისა და დამოუკიდებელი აზროვნების უნარი. ზრდილობიანი და კორექტულია. რეკომენდატორებიც აღნიშნავენ, რომ კანდიდატის ქცევა სასამართლო დარბაზში სამაგალითოა. ის არის მიზანდასახული, შრომისმოყვარე, პუნქტუალური. სასამართლოდან მიღებული და საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს სასამართლო მენეჯმენტის დეპარტამენტის მიერ დამუშავებული სტატისტიკური მონაცემებიდან ირკვევა, რომ თამარ ოქროპირიძეს საანგარიშო პერიოდში საპროცესო ვადების დაცვით მომზადებული აქვს საქმეთა -86,2%, ვადის დარღვევით -13,2%; ამავე პერიოდში, გადაწყვეტილებათა 63,7% მომზადდა ვადის დაცვით, ხოლო ვადის დარღვევით - 36,3%; გასაჩივრებულ გადაწყვეტილებათა სტაბილურობის კუთხით, გადაწყვეტილება უცვლელი დარჩა გასაჩივრებულ საქმეთა 82,6%, ხოლო შეცვალა 17,4%. საანგარიშო პერიოდში (956 დღე) მოსამართლეს დასრულებული აქვს 1596 საქმე, დღეში საშუალოდ 1,7 საქმემდე. შეიძლება ითქვას, რომ კანდიდატს ძირითადად გააჩნია სტრესულ სიტუაციაში მუშაობის უნარი და შესაბამისი მენეჯერული უნარები. მართალია შეინიშნება გარკვეულწილად საპროცესო ვადების დარღვევა, თუმცა წარმოდგენილი დატვირთულობის მაჩვენებლების გათვალისწინებით, ეს გამოწვეული უნდა იყოს მის წარმოებაში არსებული საქმეთა დიდი ნაკადით. ამდენად მივიჩნევ, რომ კანდიდატი თამარ ოქროპირიძე აკმაყოფილებს ,,საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 36[3] მუხლის მეორე პუნქტის ,,ე" ქვეპუნქტით გათვალისწინებული კრიტერიუმის მახასიათებელს და ამავე მუხლის მე-12 პუნქტით განსაზღვრულ კომპონენტებს და შესაბამისად 36[4] მუხლის მე-8 პუნქტის ,,ე" ქვეპუნქტის გათვალისწინებით, საბოლოოდ ,,პროფესიული თვისებები, მათ შორის ქცევა სასამართლო დარბაზში" კრიტერიუმში თამარ ოქროპირიძე უნდა შეფასდეს 14 (თოთხმეტი) ქულით.
აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა	4	5	აკადემიური მიღწევებისა და პროფესიული წვრთნის მახასიათებლით კანდიდატის შეფასებისას ვიხელმძღვანელე კანდიდატზე არსებული ინფორმაციის გაცნობით და ასევე გასაუბრების პროცესში მასზე დაკვირვებით. თ.ოქროპირიძეს ჩაბარებული აქვს მოსამართლეობის საკვალიფიკაციო გამოცდა სამოქალაქო ადმინისტრაციული სპეციალიზაციით. გავლილი აქვს

			მოსამართლის თანაშემწის სამთვიანი სასწავლო კურსი. ასევე წარმატებით აქვს გავლილი სსიპ იუსტიციის უმაღლეს სკოლაში სასწავლო კურსი. კანდიდატს ქვეყნის ფარგლებს გარეთ გავლილი აქვს შემდეგი სასწავლო კურსები: საერთაშორისო დაცვის საჭიროების მქონე პირთა უფლებები - სასწავლო კურსი UNHCR გერმანია ქ. კარლსრუე; კანონის უზენაესობა - მირაი პროგრამა სასწავლო კურსი. ტოკიო, იაპონია; Second Meeting of the Regional Electoral Jurisprudence Working Group. – USAID; ქ. სარაევო; სამოქალაქო სამართლის პროცესი - ტრენინგი. სხვა სასწავლო პროგრამებში კანდიდატის მონაწილეობის თაობაზე რაიმე ინფორმაცია წარმოდგენილი არ არის, შესაბამისად მისი აქტივობა ამ კუთხით არ იკვეთება. წარმოდგენილი ინფორმაციისა და კანდიდატთან გასაუბრების პროცესზე დაკვირვებით ჩანს, რომ ის არის შრომისმოყვარე, მიზანდასახული და ღია სიახლეების მიმართ, გააჩნია თვითგანვითარების უნარი, აქვს ახალი ცოდნისა და უნარების შეძენის ინტერესი და მათი პრაქტიკაში რეალიზების შესაძლებლობა, რაც გამოვლინდა წარმოდგენილი გადაწყვეტილების გაცნობისა და საჯარო მოსმენის შედეგადაც. ამდენად მივიჩნევ, რომ კანდიდატი თამარ ოქროპირიძე აკმაყოფილებს „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 36[3] მუხლის მეორე პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული კრიტერიუმის მახასიათებელს და ამავე მუხლის მე-13 პუნქტით განსაზღვრულ კომპონენტებს და შესაბამისად 36[4] მუხლის მე-8 პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტის გათვალისწინებით, საბოლოოდ „აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნის“ კრიტერიუმში თამარ ოქროპირიძე უნდა შეფასდეს 4 (ოთხი) ქულით.
პროფესიული აქტივობა	4	5	პროფესიული აქტივობის მახასიათებლით კანდიდატის შეფასებისას ვიხელმძღვანელე კანდიდატზე არსებული ინფორმაციის გაცნობით და ასევე გასაუბრების პროცესში მასზე დაკვირვებით. კანდიდატს სამართლებრივი სისტემისა და მართლმსაჯულების საკითხებზე გამართულ არაერთ ღონისძიებაში აქვს მონაწილეობა მიღებული, აღნიშნული სემინარები შეეხებოდა შემდეგ თემებს: საერთაშორისო სამართლის ძირითადი პრინციპები, ადამიანის უფლებები; სამოქალაქო სამართლის პროცესი; პროფესიული უნარ ჩვევები; საქმისწარმოების ელექტრონული პროგრამა; ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებები

			საქართველოს წინააღმდეგ; ადმინისტრაციული საპროცესო სამართლის აქტუალური საკითხები; ხანდაზმულობის ვადები; შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის მართლმსაჯულების ეფექტური უზრუნველყოფა და სხვა. კანდიდატის პედაგოგიური, სამეცნიერო ან სხვა სახის პროფესიული აქტივობის შესახებ ინფორმაცია წარმოდგენილი არ არის. ზემოაღნიშნული ინფორმაციის შედეგად შემიძლია მივიჩნიო, რომ კანდიდატს აქვს საკუთარი პოზიციისა და შეხედულებების თავისუფლად და ღიად გამოხატვის უნარი, აქვს ინიციატივის გამოჩენის, იდეებისა და წინადადებების წამოყენების უნარები და ა.შ. ამასთან, კანდიდატი სამეცნიერო, ან პედაგოგიურ აქტივობას არ ახორციელებს. ამდენად მივიჩნევ, რომ კანდიდატი თამარ ოქროპირიძე აკმაყოფილებს ,,საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 36³ მუხლის მეორე პუნქტის ,,ზ" ქვეპუნქტით გათვალისწინებული კრიტერიუმის მახასიათებელს და ამავე მუხლის მე-14 პუნქტით განსაზღვრულ კომპონენტებს და შესაბამისად 36⁴ მუხლის მე-8 პუნქტის ,,ზ" ქვეპუნქტის გათვალისწინებით, საბოლოოდ ,,პროფესიული აქტივობის" კრიტერიუმში თამარ ოქროპირიძე უნდა შეფასდეს 4 (ოთხი) ქულით.
ქულათა ჯამი	93	100	

სახელი, გვარი: ზაზა ხარებავა

ხელმოწერა:

თარიღი: 27.05.2021 წ.